

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 90

05 ნოემბერი 2008 წელი

ქ. ბათუმი

### მაურიტარული და პროპორციული არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 63-ე მუხლის მე-11, მე-13, მე-15 პუნქტებისა და 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის პროპორციული და მაურიტარული არჩევნების შედეგები №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში.

2. ბათილად იქნას ცნობილი №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული და მაურიტარული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია

